



## სარჩევი

1. მყიდველის ხელშეკრულების გადახდის გრაფიკი.....	1
2. უკვე ჩამოწერილი მასალის შევსება პროდუქციის გამოშვების დოკუმენტში.....	4
3. სხვა მოდიფიკაციები.....	4
4. გასწორებული შეცდომები.....	5

### 1. მყიდველის ხელშეკრულების გადახდის გრაფიკი

ბალანსში დაემატა მყიდველის ხელშეკრულებაზე გადახდის გრაფიკის მითითების საშუალება. ხელშეკრულებაზე შესაძლებელია გადახდების თარიღების განწერა და შემდეგ შესაბამის ანგარიშგებაში მისაღები და მიღებული გადახდების კონტროლი.

ფუნქციონალის გამოყენებისათვის ადმინისტრირებაში>ანგარიშსწორების აღრიცხვის ანყოებში, ჩართული უნდა იყოს ალმები, „აღრიცხვა ხელშეკრულებების მიხედვით“ და „გადახდების პირობების გამოყენება მყიდველებისთვის“.

#### მყიდველის ხელშეკრულება

მყიდველის ხელშეკრულების ფორმაზე დაემატა გადამრთველი. ერთ ხელშეკრულებაზე შესაძლებელია ანგარიშსწორების პირობების ან გადახდის გრაფიკის გამოყენება. ორივე ერთდროულად არ გამოიყენება.

ხელშეკრულება N02-06 (მყიდველის ხელშეკრულება) (1C:საწარმო)

**ხელშეკრულება N02-06 (მყიდველის ხელშეკრულება)**

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა კიდევ

მყიდველი: გადახდის გრაფიკი თარიღი: 01.02.2019

ნომერი: მოქმედების პერიოდი: 01.02.2019 - 30.06.2019

დასახელება: ხელშეკრულება N02-06 კოდი: 000040

ვალუტა: GEL

დღგ-ით დაბეგრა: დღგ-ის გადამხდელი

დღგ-ის მუხლი: მიწოდება კომპენსაციით

ანგარიშსწორება დოკუმენტების მიხედვით

ანგარიშსწორების პირობების გამოყენება  გადახდის გრაფიკი

[გადახდის გრაფიკი](#)

აღრიცხვის ანგარიშები

ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიში: 1410.01 ავანსების აღრიცხვის ანგარიში: 3120

კომენტარები:

გადახდის გრაფიკი გამოიყენება მხოლოდ მყიდველის ხელშეკრულებებზე. ფუნქციონალის გამოყენებისთვის მყიდველზე ჩართული უნდა იყოს ალამი, „ხელშეკრულებების გამოყენება“.

თუ ხელშეკრულებაზე მითითებულია გადახდის გრაფიკის გამოყენება, ამ ხელშეკრულებაზე გაფორმებულ რეალიზაციის დოკუმენტებში აღარ მიეთითება გადახდის თარიღი. შესაბამისად ასეთი რეალიზაციები არ გამოჩნდება ანგარიშგებაში, „მყიდველების დავალიანება ვადების მიხედვით“.

გადახდის გრაფიკის შესავსებად საჭიროა დაჭერა ბმულზე „გადახდის გრაფიკი“.

გადახდის გრაფიკი \*

დამატება ↑ ↓ + შეკლება კიდევ

გადახდის თარი...	თანხა
31.01.2019	100.00
28.02.2019	100.00
28.03.2019	100.00
28.04.2019	100.00
28.05.2019	100.00
28.06.2019	100.00
28.07.2019	100.00
28.08.2019	100.00

OK გაუქმება

გრაფიკის შევსება შესაძლებელია:

- ხელით, გადახდის თარიღისა და შესაბამის თარიღში მისაღები თანხის მითითებით.
- ექსელის ფაილიდან ჩატვირთვით
- შევსებით, გადახდების გრაფიკის პერიოდის, გადახდების პერიოდულობისა და გადახდების ჯამური თანხის მითითებით. ამ შემთხვევაში პროგრამა ავტომატურად შეავსებს მისაღები გადახდების გრაფიკს.

### მისაღები გადახდები

გადახდის გრაფიკის კონტროლისთვის, გაყიდვების ქვესისტემაში, დაემატა ანგარიშგება „მისაღები გადახდები“. ანგარიშის გაფილტვრა შესაძლებელია მისაღები გადახდების პერიოდით და მყიდველით.

ანგარიშგება გამოტანილია მყიდველის, მყიდველის ხელშეკრულებისა და ვალუტის ჭრილში.


პარამეტრები: პერიოდი: 01.01.2019 - 30.06.2019					
მყიდველი		ვალუტა	გადასანდელი თანხა	გადახდილი თანხა	დარჩა გადასანდელი
ნელშეკრულება					
გრაფიკის თარიღი					
გადახდის თარიღი					
გადახდის გრაფიკი			600.00	320.00	280.00
ნელშეკრულება N02-06		GEL	600.00	320.00	280.00
31.01.2019			100.00	100.00	
05.01.2019				100.00	
28.02.2019			100.00	100.00	
05.01.2019				100.00	
28.03.2019			100.00	100.00	
01.02.2019				100.00	
28.04.2019			100.00	20.00	80.00
01.02.2019				20.00	
28.05.2019			100.00		100.00
28.06.2019			100.00		100.00
სულ			600.00	320.00	280.00

გადახდის გრაფიკი ივსება მყიდველის ხელშეკრულებაზე მითითებული ცხრილიდან და არ აქვს მნიშვნელობა რეალურად რეალიზაცია გაფორმებულია თუ არა. რეალიზაციის დოკუმენტი ანგარიშგებაში არ მონაწილეობს.

მყიდველის ხელშეკრულებაზე მიღებული თანხები გადახდის გრაფიკის დაგალიანებას ფარავს FIFO მეთოდით. თუ გრაფიკით გადასახდელი თანხა დაფარულია, მასზე გამოჩნდება იმ გადახდის თარიღი, რომელმაც დაგალიანება ჩახურა. თუ გრაფიკით გადასახდელი თანხა ნაწილობრივ დაფარულია ან არ არის დაფარული, გრაფიკის თარიღი გაფორმებულია წითლად. ასეთ შემთხვევაში მოცემულ გრაფიკზე დარჩენილი გადასახდელი თანხა გამოჩნდება ცალკე ველში.

## 2. უკვე ჩამონერილი მასალის შევსება პროდუქციის გამოშვების დოკუმენტში

ბალანსში დაემატა უკვე ჩამონერილი მასალის შევსება პროდუქციის გამოშვების დოკუმენტში. აღნიშნული ფუნქციონალის გამოყენება შესაძლებელია, როდესაც პროდუქციის გამოშვებისთვის საჭირო მასალა უკვე ჩამონერილია და მისი ჩამონერა არ ხდება პროდუქციის გამოშვების დოკუმენტით. ამისთვის დოკუმენტში დაემატა ლილაკი „შევსება ნაშთების მიხედვით“.



პროდუქციაზე გამოყენებული მასალის შესავსებად, საქონელი ჩამონერილი უნდა იყოს წარმოების კლასის ანგარიშზე, პროდუქციის გამოშვების დოკუმენტში მითითებულ პროდუქტზე. მასალის შევსება მოხდება სპეციფიკაციის მიხედვით. შესაბამისად, მასალის შევსებისთვის დოკუმენტში აუცილებლად უნდა იყოს შევსებული პროდუქციის სპეციფიკაცია და უკვე ჩამონერილი მასალა უნდა შედიოდეს მითითებულ სპეციფიკაციაში.

## 3. სხვა მოდიფიკაციები

- ბრუნვით უწყისში საერთაშორისო დასახელებების გამოტანის შესაძლებლობა
- კომერციულ წინადადებაში მომსახურების ტიპის აღწერის დამატება და წინადადების საფუძველზე მყიდველის შეკვეთის შექმნის შესაძლებლობა
- შემლუღული მომხმარებლისთვის სალარო აპარატის ცნობარზე დაკავშირებული საბანკო ტერმინალების გამოჩენა

## 4. გასწორებული შეცდომები

- საქონლის ჩამონერის დოკუმენტში წარმოების რეგისტრის ჩანაწერების შეცდომის გასწორება
- ნომენკლატურის შერჩევაში ფასის კორექტირების შეზღუდვის შეცდომის გასწორება, როდესაც მომხმარებელზე გამორთულია გასაყიდი ფასის კორექტირების უფლება
- ვალუტის კურსების ჩამოტვირთვის ხარვეზი, როდესაც ვალუტის კურსი შეიტანება ხელით
- გასაყიდი ფასის მინიმალური და მაქსიმალური ფასით შეზღუდვაში შეფუთვების არ გათვალისწინების შეცდომის გასწორება
- აუდიტორის პროფილისთვის დოკუმენტებზე და ცნობარებზე მიბმული ფაილების დათვალიერების შეცდომის გასწორება
- შესყიდვის დოკუმენტზე სასაქონლო ბედნადების მიბმის შეცდომის გასწორება
- პროდუქციის გამოშვება და რეალიზაციის გატარების შეცდომის გასწორება, როდესაც გამორთულია მარაგების საწყობებით აღრიცხვის ფუნქციონალი
- გატარებულ ბუღალტრულ ოპერაციაში ანალიტიკის ცვლილების ხარვეზის გასწორება
- შესყიდვის კორექტირების გატარების შეცდომის გასწორება
- ამონაწერის ჩატვირთვის ხარვეზის გასწორება, როდესაც ერთ თარიღში რამდენჯერმე ხდება ერთ თანამშრომელზე ხელფასის გადახდა
- მალაზია-საწყობიდან დოკუმენტის „ანგარიშგება საცალო გაყიდვებზე“ გამოცვლის შეცდომის გასწორება